



**ტურისტული მარშრუტის (ქსნის ციხე-ს გოროვანი) დაგეგმვა
გის ტექნოლოგიებით**

თამარ ავალიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი
გეოგრაფია -Gis ტექნოლოგიების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების

(გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები)

პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ზურაბ ლაომვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ავალიანი

30.06.2020

ს ა რ ჩ ე ვ ი

აბსტრაქტი

თავი I. ზოგადი საკითხები

1.1.	მეთოდოლოგია, საბაზისო ციფრული მონაცემები და გამოყენებული ტექნოლოგიები	6
1.2.	ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკაში და მისი განვითარების ტენდენციები	7
1.3.	საკვლევი ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსული პოტენციალი	11
1.3.1	მდებარეობა და ზოგადი დახასიათება	11
1.3.2	ტურისტულ-რეკრეაციული კომპონენტების შეფასება	18

თავი II. ტურისტული მარშრუტის დაგეგმვის საკითხები

2.1.	ტურისტული დესტინაციის ფორმირების თავისებურებანი	30
2.2.	ახალი საფეხმავლო ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა	36
2.3.	ტურიზმის უსაფრთხოების საკითხები	44
2.4.	გეოინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში	45

თავი III. ქსნის ციხე-ს გოროვანიის ტურისტული მარშრუტის დაგეგმვა

3.1.	მარშრუტის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის შეფასება	53
3.1.1	რელიეფის ანალიზი	53
3.1.2	ხედვის ზონების ანალიზი	56
3.1.3	მარშრუტის პროფილის ანალიზი	59
3.1.4	ბუნების ღირსშესანიშნაობათა ანალიზი	60
3.1.5	ისტორიულ-არქიტექტურული ღირსშესანიშნაობათა ანალიზი	60
3.1.6	ტურისტული უსაფრთხოების საკითხების შესწავლა და ანალიზი	63
3.1.7	მარშრუტის სირთულის განსაზღვრა	63
3.2.	ტურისტული მარშრუტის ორგანიზება	65
3.2.1	გადასახედების ორგანიზება	65
3.2.2	ტექნიკური რეგულირების ობიექტების ინფრასტრუქტურის ორგანიზება	66
3.4.	ტურისტული მარშრუტის გეოინფორმაციული სისტემის შექმნა	67
	დასკვნები	70
	დანართი 1	72
	გამოყენებული ლიტერატურა	77

აბსტრაქტი

თემის აქტუალობა

ტურიზმის, როგორც XX საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის აქტუალობა, მიმდინარე ეტაპზე, კიდევ უფრო მზარდ ხასიათს იღებს. ის სულ უფრო დიდ როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში და უკვე აღიარებულია ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად. მრავალწახნაგოვანი ტურიზმის განვითარებისათვის საქართველოში ყველა პირობა არსებობს. რთული, დანაწევრებული რელიეფით განპირობებული მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები კონტრასტული ლანდშაფტებით, მდიდარი ისტორიულ-არქიტექტურული მემკვიდრეობა, თვითმყოფადი ეთნო-კულტურული ღირებულებები, ტრადიციები, ყოფის და მეურნეობის თავისებურებანი ტურიზმის თითქმის ყველა სახეობისთვის (ექსტრემალური, სათავგადასავლო, სპეციალიზებული, რელიგიური, კულტურული, აგრარული, ეკოტურიზმი, საზღვაო ტურიზმი, შემცნებითი, სამეცნიერო, გეოტურიზმი, საქმიანი, ეთნიკური და ნოსტალგიური ტურიზმი და სხვ.) შესანიშნავ საბაზისო პირობებს ქმნის.

სამწუხაროდ პანდემიამ – Covid 19-მა უარყოფითად იმოქმედა ტურიზმზე (თავდაპირველად შემცირდა შემდეგ კი შეწყდა ტურისტების შემოსვლა, კარანტინის გამო აიკრძალა შიდა გადაადგილებებიც). ვირუსის საფრთხის შენელების შემდეგ მოსალოდნელია ტურისტების ნაკადის ზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის წინააღმდეგ გატარებულმა ადმინისტრაციულმა და სამედიცინო ეფექტურმა პრევენციულმა შედეგიანმა ღონისძიებებმა მას სტაბილური და დაცული ქვეყნის იმიჯი მოუტანა არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. ეს თავისთვად დადებითად აისახება მომავალში ტურისტების რაოდენობაზე.

ცხადია ტურისტული ნაკადების ზრდა ტურიზმის განვითარებას და შემოსავლებს უწყობს ხელს, მაგრამ მას გარკვეული უარყოფითი მხარეებიც ახლავს. ამან პოპულარული ტურისტული მარშრუტების გადატვირთვა შეიძლება გამოიწვიოს, რაც უარყოფითად მოქმედებს ტურისტულ ობიექტებზე, ლანდშაფტზე, ისტორიულ-

არქიტექტურულ ძეგლებზე და სხვ. მათი განტვირთვის მიზნით აუცილებელია რაც შეიძლება მეტი ახალი მარშრუტების გახსნა. რამდენადაც ქვეყნის დედაქალაქში თავმოყრილია მოსახლეობის და ეკონომიკის დიდი ნაწილი, ასეთი მარშრუტების თბილისის აგლომერაციაში ორგანიზება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ერთ-ერთი ასეთი ტურისტული მარშრუტის დაგეგმვას ემსახურება.

თბილისის სანახები საფეხმავლო ტურისტული მარშრუტების ორგანიზებისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის. ერთ-ერთი ტურისტული დესტინაცია სხალტის ქედია (კვერნაკის ქედის აღმოსავლეთი დაბოლოება), სადაც ყველა პირობაა (ეგზოტიკური რელიეფი, ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, თვალწარმტაცი ხედები, სატრანსპორტი ინფრასტრუქტურა, მისაწვდომობა და სხვ.) საფეხმავლო ერთ- ან ორდღიანი მარშრუტის მოსაწყობად. სამწუხაროდ ეს დესტინაცია პრაქტიკულად გამოუყენებელია. ამ მარშრუტის ამოქმედება გამოაცოცხლებს ამ დესტინაციის ტურისტულ პოტენციალს და თბილისის სანახებში მსგავს მარშრუტების მოწყობას მისცემს სტიმულს.

ნაშრომის მიზანი

ნაშრომის მიზანია დაიგეგმოს ახალი ტურისტული საფეხმავლო მარშრუტი ქსნის ციხიდან სოფელ გოროვანამდე. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას კომპლექსური, მრავალთემატური გეოინფორმაციული სისტემა, რომლის გეომონაცემთა ბაზებში განთავსდება ტურიზმისთვის საინტერესო ყველა ინფორმაცია. ეს მონაცემები მომავალში უნდა რეალიზდეს ინტერაქტიული ვებრუკის სახით ან განთავსდეს უკვე არსებულ ვებრუკაზე. საფეხმავლო ტურისტული ბილიკის გეოინფორმაციულ სისტემას გამოიყენებს ტურიზმით დაინტერესებული ორგანიზაციები ან დაინტერესებული პირები.

მიზნის მისაღწევად ვიყენებთ მონაცემთა სივრცითი ანალიზის უახლეს ტექნოლოგიებს – გეოგრაფიულ ინფორმაციულ სისტემებს (გის).